# ბრწყინვალე გამარჯვება

მოსკოვისა და თბილისის  დინამოელთა შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სატურნირო ცხრილში. ადგილების განაწილებისათვის. ორივე კოლექტივი გრძნობდა მთელ პასუხისმგებლობას და მათი გუშინდელი თამაში სსრ კავშირის პირველობაზე დასაწყისიდანვე შემტევი სტილით წარიმართა.

შეხვედრის დასაწყისიდანვე გამოვლინდა თბილისელთა ტექნიკურ–ტაქტიკური უპირატესობა. შუამარბები ნახევარმცველებთან ორთაბრძოლაში ხშირად იმარჯვებდნენ – კ. გაგნიძე თავისი შესანიშნავი გასვლით სისწრაფეში სჯობნიდა ვ. ბლინკოვს, ხოლო ა. ღოღობერიძე, რომელმაც მთელი თამაში შესანიშნავად ჩაატარა, თავის ახალგაზრდა "დარაჯ" ბაიკოვთან შედარებით ბევრად უკეთესი იყო ტექნიკურად. სწორედ ღოღობერიძის საუცხოო მიწოდებით გაიჭრა წინ სულ უფრო მზარდი ფეხბურთელი ა. კოტრიკაძე, რითაც 33–ე წუთზე ანგარიში გაიხსნა.

მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში მოედანზე თბილისელები  ბატონობდნენ, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, ხოლო მოსკოველთა მეკარე იანინმა სამი ძნელი ბურთი აიღო. მხოლოდ მე–16 წუთზე მახარაძე–კოტრიკაძე–ღოღობერიძის შესანიშნავი კომბინაციის შედეგად თბილისელთა კაპიტანმა ზუსტი, მოულოდნელი დარტყმით ანგარიში გახადა 2:0.

ხუთი წუთის შემდეგ თბილისელთა კართან მაღალი ბურთის მიწოდებისას უყურადღებოდ დატოვებულმა რიჟკონმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითა. ანგარიში 2:1 არ შეცვლილა 14 წუთის განმავლობაში, ვიდრე ჭკუასელი კალოევის მიწოდებით მარტო გავიდა მეკარესთან და ბურთი ადვილად გაიტანა, მანვე წუთში სტუმრებმა კომბინაცია გაითამაშეს და თავის საჯარიმო მოედანზე მახარაძე ბურთს ხელით შეეხო. ბესკოვმა განახორციელა 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გახდა 3:2, რომელიც თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

”ახ. კომუნისტი”,  8 აგვისტო 1953 წ.